Research

1 აგვისტო 2024

ახალგაზრდების დასაქმება საქართველოში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები საქართველოში

გამოცემა #148

ძირითადი მიგნებები

- **2020-2023 წლებში საქართველოში ახალგაზრდების (15-24 წლის ადამიანები) კონტრიბუცია შრომის ბაზარზე შემცირდა.** კერძოდ, ამ პერიოდში შრომის ბაზრის ძირითად მაჩვენებლებში დაიკლო ახალგაზრდების ჩართულობამ, მიუხედავად იმისა, რომ მათი განაწილება 15+ ასაკის მოსახლეობაში სტაბილური იყო.
- **საქართველოში სამუშაო ძალაში ახალგაზრდების მონაწილეობის დონის შემცირება განპირობებულია ემიგრაციით.** 2020-2023 წლებში ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა ქვეყანა, რომელთა უმეტესობაც უმუშევარი იყო (ცდილობდა დასაქმებას).
- **ახალგაზრდების სამუშაო ძალაში მონაწილეობის შემცირება უმაღლესი განათლების მიმღებთა ზრდას უკავშირდება.** ბევრმა ახალგაზრდამ სამუშაო ძალაში ჩაბმას განათლების გაგრძელება არჩია, რასაც საქართველოში სტუდენტების გაზრდილი რაოდენობაც ადასტურებს.
- **2020-2023 წლებში საქართველოში ახალგაზრდების დასაქმება მნიშვნელოვანი გამოწვევების პირისპირ იყო**. კერძოდ, დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო ისეთი ბარიერებით, როგორებიცაა ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების სიმცირე და არახელსაყრელი სამუშაო პირობები, რომლებიც ახალგაზრდების საჭიროებებსა თუ საგანმანათლებლო მისწრაფებებს არ შეესაბამება.
- **საქართველოში ახალგაზრდებისთვის ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, კერძოდ, 2023 წელს დასაქმებული ახალგაზრდების მხოლოდ 9% მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე**, რაც გაცილებით დაბალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე (33%). ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების ასეთი სიმცირე ბევრ ახალგაზრდას აიძულებს, არჩევანი გააკეთოს განათლებასა და სტაბილურ დასაქმებას შორის.
- **საქართველოში ყოველი მეხუთე ახალგაზრდა არც მუშაობს და არც სწავლობს**. მიუხედავად ახალგაზრდების განათლებაში ჩაბმის კუთხით მიღწეული პროგრესისა, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, მაღალია იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET), რაც მიუთითებს იმ გამოწვევებზე, რომლებსაც ახალგაზრდები სწავლის დასრულების შემდეგ სამსახურის დაწყებისას აწყდებიან.
- **2023 წელს ახალგაზრდების მხოლოდ 7% ახერხებდა ერთდროულად სწავლას და მუშაობას.** გარდა ამისა, მათგან, ვინც სწავლობდა, მხოლოდ 10%-ს ჰქონდა სამსახური, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდებს უჭირთ განათლების მიღების პარალელურად მუშაობა.
- **2020-2023 წლებში საქართველოში ახალგაზრდები საშუალოდ 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ მთლიან საშუალო ხელფასთან შედარებით**. ახალგაზრდების საშუალო ხელფასი მათი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება და მჭიდროდაა დაკავშირებული უმაღლესი განათლების საფეხურებისა და გამოცდილების ზრდასთან.
- **საქართველოში ახალგაზრდების დასაქმებისა და განათლების სტატუსში გენდერული სხვაობებია.** სამუშაო ძალაში უფრო მეტი ახალგაზრდა კაცი მონაწილეობს, ვიდრე ქალი, რომლებსაც მზარდი სახელფასო სხვაობა შრომის ბაზარზე არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.
- **2023 წელს საქართველოში სოფელსა და ქალაქში ახალგაზრდების სამუშაო ძალის მონაწილეობის დონეები დიდად არ განსხვავდებოდა.** თუმცა, 2020-2023 წლებში, 2022 წლის გამოკლებით, ქალაქში უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, ვიდრე სოფელში.
- **საქართველოში დასაქმებული ახალგაზრდების წილი მომსახურებასთან დაკავშირებულ სექტორებსა და პოზიციებზე თანდათან იზრდება.** მიუხედავად იმისა, რომ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა ახალგაზრდების დასაქმების უმთავრეს წყაროდ რჩება, 2020-2023 წლებში ამ სექტორში ახალგაზრდების წილი შემცირდა (-7 პპ). ამავე პერიოდში, გაიზარდა მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული ახალგაზრდების წილი. ამ სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია სხვა ასაკობრივ ჯგუფებს არ ახასიათებს.

შრომის ბაზრის მაჩვენებლები

შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში



შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში (ათასი კაცი)



- ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლების გაანალიზებამდე მნიშვნელოვანია მთლიანი შრომის ბაზრის მიმოხილვა, რათა შეფასდეს, ახალგაზრდების დასაქმების ტენდენციები მხოლოდ ამ ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი, თუ მთლიანი შრომის ბაზრის მსგავსია.
- 2023 წელს 2020* წელთან შედარებით, საქართველოში შრომის ბაზრის ეფექტიანობა მცირედით გაუმჯობესდა. კერძოდ, შემცირდა უმუშევრობის დონე (3 პროცენტული პუნქტით (პპ)), ხოლო დასაქმების დონე (+4 პპ) და სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე გაიზარდა (+3 პპ).** მცირედი გაუმჯობესების მიუხედავად, უმუშევრობის დონე საქართველოში კვლავ მაღალი რჩება და ევროკავშირის 2023 წლის საშუალო მაჩვენებელს 10 პპ-ით აღემატება.[2]

** 2020 წელს, Covid-19-ის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა "ლოქდაუნმა" უმუშევრობის დონის დროებითი ზრდა გამოიწვია.*

*** სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის ზრდა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს როგორც სამუშაო ძალაში შემავალი ადამიანების რაოდენობის ზრდით, ასევე გაზრდილი ემიგრაციის გამო 15+ ასაკის მოსახლეობის კლებით.[1]*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების წილი შრომის ბაზრის მაჩვენებლებში





- იმის მიუხედავად, რომ მთლიანი შრომის ბაზრის მაჩვენებლები მცირედით უმჯობესდება, ახალგაზრდების კონტრიბუცია შრომის ბაზარზე მცირდება. 2020-2023 წლებში ახალგაზრდების წილი მთლიან სამუშაო ძალაში შემცირდა, თუმცა, მათი წილი 15+ ასაკის მოსახლეობაში უცვლელი დარჩა (დაახლოებით 13%).

- ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები მიანიშნებს, რომ შრომის ბაზარზე ახალგაზრდების მონაწილეობის შემცირება განპირობებულია როგორც ემიგრაციით, ასევე სწავლის პერიოდის გახანგრძლივებით. 2020-2023 წლებში ახალგაზრდა მოსახლეობის შემცირება და შრომის ბაზრის მაჩვენებლების ანალიზი მიუთითებს, რომ ახალგაზრდების ნაწილმა, რომლებიც სამუშაოს ეძებდნენ, ქვეყანა დატოვეს. ამავდროულად, ნაწილმა თავი შეიკავა სამუშაო ძალაში ჩართვისაგან და განათლების მიღება ამჯობინა, რაზეც 2020-2023 წლებში საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა მეტყველებს.[3]

- სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ახალგაზრდები შრომის ბაზარზე უფრო მეტ ბარიერებს აწყდებიან, რაც 2020-2023 წლებში საქართველოში დასაქმების საერთო ზრდის მიუხედავად, დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობის კლებით აშკარავდება. ასეთ ბარიერებს განეკუთვნება არახელსაყრელი სამუშაო პირობები და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობის ნაკლებობა.[4]

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები საქართველოში



სრულ და ნახევარ განაკვეთზე დასაქმება ახალგაზრდებში (ათასი კაცი)



- 2020-2023 წლებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე შემცირდა (-4 პპ), თუმცა, დასაქმების დონე უცვლელი დარჩა, რაც მიანიშნებს, რომ უმუშევარი ახალგაზრდები სამუშაო ძალიდან გავიდნენ (ეს ასევე დასტურდება სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის 3 პპ-ით შემცირებითაც). გარდა ამისა, ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან (14%) შედარებით.[5]

- საქართველოში ახალგაზრდების არასრული დასაქმება შეიძლება, გამოწვეული იყოს შრომის ბაზარზე ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობით. 2020-2023 წლებში ახალგაზრდების ნახევარ განაკვეთზე დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 9% იყო, რაც დაახლოებით ოთხჯერ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს.[6] ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობა ახალგაზრდების მაღალი უმუშევრობის გამომწვევი მიზეზია, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთათვის სრულ განაკვეთზე მუშაობა ხშირად არახელსაყრელია. შესაბამისად, საქართველოში ახალგაზრდები იძულებულნი ხდებიან, არჩევანი გააკეთონ განათლების ხარისხსა და საარსებო წყაროს შორის, რაც პოტენციურად მათს მომავალ შემოსავლებზე იქონიებს გავლენას.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების დასაქმება და განათლება

ახალგაზრდების დასაქმება და განათლება* საქართველოში



ახალგაზრდების დასაქმება და განათლება* საქართველოში გენდერის მიხედვით 2023 წელს



- ახალგაზრდების შრომის ბაზარის სრულფასოვნად გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების, ასევე განათლების სტატუსის შეფასება. NEET (ის ჯგუფები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს) სტატისტიკა განსაკუთრებით ღირებულია განათლებისა და სამუშაო ძალიდან გამოთიშული ახალგაზრდების წილის დასადგენად. მიუხედავად იმისა, რომ 2020-2023 წლებში NEET საქართველოში საგრძნობლად, 8 პპ-ით შემცირდა, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით კვლავ მაღალია (5 პპ-ით).[7]

- აღსანიშნავია, რომ NEET მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა ირჩევს განათლების მიღებას, ვიდრე სამუშაო ძალაში შესვლას, რასაც ცხადყოფს იმ ახალგაზრდების წილის ზრდა (+8 პპ), რომლებიც სწავლობენ, მაგრამ არ მუშაობენ.

- 2023 წელს ახალგაზრდების მხოლოდ 7% ახერხებდა ერთდროულად სწავლას და მუშაობას. გარდა ამისა, ვინც სწავლობდა, მათგან მხოლოდ 10%-ს ჰქონდა სამსახური, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს შრომის ბაზარზე ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო ადგილების ნაკლებობაზე.

- ახალგაზრდების შრომის ბაზრის გენდერული პერსპექტივიდან გაანალიზება მნიშვნელოვანია პოტენციური გენდერული უთანასწორობის დასადგენად. 2023 წელს ახალგაზრდა ქალებსა და კაცებს შორის ორი ძირითადი განსხვავება დაფიქსირდა: ახალგაზრდა კაცების წილი, რომლებიც მუშაობენ და არ სწავლობენ, უფრო მაღალია (10 პპ-ით), ვიდრე ახალგაზრდა ქალების წილი. ხოლო ახალგაზრდა ქალების წილი, რომლებიც სწავლობენ და არ მუშაობენ, ახალგაზრდა კაცების წილს აღემატება (9 პპ-ით).

** „განათლება“ გულისხმობს სწავლას და ტრენინგების გავლას.*

წყარო: PMC RC-ის გამოთვლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხელფასები

ახალგაზრდების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



ახალგაზრდების საშუალო თვიური ხელფასი 2023 წელს (ლარი)



- ახალგაზრდების შრომის ბაზრის დინამიკის სრულად შესაფასებლად, ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საშუალო ხელფასის* ანალიზი. 2020-2023 წლებში ახალგაზრდები საშუალოდ 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე 15+ ასაკის მოსახლეობა, რასაც შესაძლოა იწვევდეს ის, რომ ახალგაზრდები, ძირითადად, საწყის პოზიციებზე საქმდებიან, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებანაზაურებადია.
- ახალგაზრდების საშუალო ხელფასი ასაკთან ერთად იზრდება.

ყველაზე შესამჩნევი ზრდა (+24%) 18 წლის ასაკში ფიქსირდება, როდესაც მათ სრულ განაკვეთზე დასაქმების უფლება ეძლევათ. ასევე, ხელფასის ზრდა მჭიდრო კავშირშია უმაღლესი განათლების საფეხურების ზრდასთან: 22 წლის ახალგაზრდების საშუალო ხელფასი ემთხვევა ახალგაზრდების საერთო საშუალოს, ხოლო 24 წლისთვის - აღემატება 15+ ასაკის მოსახლეობის საშუალო ხელფასს.

** ეს ხელფასები წარმოადგენს დარიცხულ თანხას და არ ფარავს არაფორმალურ სექტორში დასაქმებას.*

წყარო: PMC RC-ის გამოთვლები, საპენსიო სააგენტო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები გენდერის მიხედვით

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები სქესის მიხედვით



ახალგაზრდების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით (ლარი)*



- 2020-2023 წლებში ახალგაზრდა ქალების წილი სამუშაო ძალაში მამაკაცების წილზე სტაბილურად დაბალი იყო (საშუალოდ, 14 პპ-ით), მიუხედავად იმისა, რომ ქალები 15-24 ასაკობრივ ჯგუფში მოსახლეობის 48%-ს შეადგენენ. ამავე პერიოდში, უმუშევრობის დონე ორივე სქესის ახალგაზრდებისთვის შემცირდა, თუმცა, კლება ახალგაზრდა მამაკაცებს უფრო შეეხო (-7 პპ), ვიდრე ახალგაზრდა ქალებს (-1 პპ).
- კოვიდ-19-ის პანდემიამდე ახალგაზრდებს შორის ანაზღაურების ნაწილში არ შეიმჩნეოდა გენდერული სხვაობა, თუმცა 2023 წლისთვის 8%-მდე გაიზარდა.

** ეს ხელფასები წარმოადგენს დარიცხულ თანხას და არ ფარავს არაფორმალურ სექტორში დასაქმებას.*

წყარო: PMC RC-ის გამოთვლები, საპენსიო სააგენტო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები ქალაქსა და სოფელში

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქში და სოფელში



ახალგაზრდების შრომის ბაზრის მაჩვენებლები ქალაქში და სოფელში



- ახალგაზრდების დასაქმების შეფასება სოფელსა და ქალაქში მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის ინკლუზიურობის გასაანალიზებლად. 2020-2023 წლებში ახალგაზრდების უმეტესობა (62%) ქალაქში ცხოვრობდა. ამ პერიოდში ქალაქში სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი შემცირდა (5 პპ-ით), ხოლო სოფელში იგივე დარჩა.

- 2020-2023 წლებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც სოფელში, ასევე ქალაქში. აღსანიშნავია, რომ სოფელსა და ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმების დონეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეიმჩნევა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების დასაქმება ეკონომიკური სექტორების მიხედვით

ახალგაზრდების დასაქმება ეკონომიკური სექტორების მიხედვით*



- ახალგაზრდები ძირითადად დასაქმებული არიან დაბალ-ანაზღაურებად და ნაკლებად პროდუქტიულ სექტორებში, რო-გორებიცაა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა და სა-ბითუმო და საცალო ვაჭრობა.** მიუხედავად იმისა, რომ 2020-2023 წლებში ყველაზე მაღალი კლება სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდების წილში დაფიქსირდა, ეს სექტორი კვლავ ახალგაზრდების დასაქმების უმთავრესი წყაროა. ამავდროულად, მომსახურების სექტორები ახალგაზრდებს შორის თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც მიყვება გლობალურ ტენდენციას - ახალგაზრდების ერთი მესამედი მომსახურების სექტორში მუშაობს.[8]

- COVID-19-ის პანდემიის შემდეგ გაიზარდა განთავსების საშუ-ალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმი-ანობების სექტორში ახალგაზრდების დასაქმება, რაც, სავა-რაუდოდ, ტურიზმის აღდგენასთან ერთად სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდითაა გამოწვეული.

** ეკონომიკური სექტორები გათვალისწინებულია NACE Rev.2 კლასიფიკაციით. რიცხვების დამრგვალების გამო, მონაცემთა ჯამი ყოველთვის არ უდრის 100%-ს.*

*** სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობასა და საბითუმო და საცალო ვაჭრობაში საშუალო ხელფასები, შესაბამისად, 50%-ით და 19%-ით დაბალია, ვიდრე ყველა დასაქმებულის საშუალო ხელფასი საქართველოში.*

წყარო: PMC RC-ის გამოთვლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ახალგაზრდების დასაქმება პოზიციების მიხედვით

ახალგაზრდების დასაქმება პოზიციების მიხედვით*



- პოზიციების მიხედვით ახალგაზრდების დასაქმების ანალიზი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მომსახურების სფეროზე ორიენტირებული პოზიციებისკენ გადასვლის ტენდენციას. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია დამახასიათებელია მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, რადგან 2020-2023 წლებში მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების წილი მთლიან დასაქმებაში (18%) არ შეცვლილა.

- აღსანიშნავია, რომ 2020-2023 სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების წილის კლება ყველა ეკონომიკურად აქტიური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი (-3 პპ). თუმცა, აღნიშნული ტენდენცია ახალგაზრდებში უფრო მკვეთრადაა გამოხატული (-8 პპ).

- 2023 წელს სპეციალისტი-პროფესიონალების წილი ახალგაზრდებში 11 პპ-ით ნაკლები იყო, ვიდრე 15+ ასაკის მოსახლეობაში, სადაც სპეციალისტი-პროფესიონალები ყველაზე დიდ სეგმენტს წარმოადგენდა. ამავდროულად, ტექნიკოსების და დამხმარე სპეციალისტების წილი თანაბარი იყო როგორც ახალგაზრდებში, ასევე მთლიან დასაქმებაში.

** პოზიციები გათვალისწინებულია ISCO-08 კლასიფიკაციით. რიცხვების დამრგვალების გამო, მონაცემთა ჯამი ყოველთვის არ უდრის 100%-ს.*

წყარო: PMC RC-ის გამოთვლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

ძირითადი ინდიკატორები	2019	2020	2021	2022	2023 I კვ.	2023 II კვ.	2023 III კვ.	2023 IV კვ.	2023	2024 I კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17,638.7	16,010.7	18,853.0	24,989.5	6,421.3*	7,687.6*	8,134.8*	8,284.9*	30,536.8*	7,080.2*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,741.4	4,300.8	5,083.6	6,731.2	1,718.6	2,057.5*	2,177.2*	2,227.5*	8,210.1*	1,916.4*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.4%	-6.3%	10.6%	11.0%	8.2%*	8.1%*	7.0%*	6.9%*	7.5%*	8.4%*
ინფლაცია (%)	4.9%	5.2%	9.6%	11.9%	7.6%	1.6%	0.6%	0.4%	2.5%	0.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,354.1	595.3	1,252.7	2,097.9	566.4*	505.7*	316.0*	206.5*	1,594.7*	201.4*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	17.3%	16.4%	18.0%	16.7%	15.6%	16.4%	14.0%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5,741.0	7,535.1	8,205.3	8,345.6	8,473.0	8,510.5	8,452.8	8,907.8	8,907.8	8,236.3
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	19.5%	21.3%	17.5%	15.6%	-	-	-	-	-	-

** წინასწარი მონაცემები.*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
ასოცირებული მკვლევარი

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
კვლევითი ასისტენტი
m.jikia@pmcginternational.com

დამატებითი წყაროები:

1. https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/18426688/3-01022024-BP-EN.pdf/13e802f5-a267-0b8a-6245-52f759f7cfe3?version=1.0&t=1706709240240
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia
3. National Statistics Office of Georgia
4. https://www.youthpolicy.org/uploads/OECD_howto_promote_youth_employment.pdf
5. https://ec.europa.eu/eurostat/documents/2995521/18426688/3-01022024-BP-EN.pdf/13e802f5-a267-0b8a-6245-52f759f7cfe3#:~:text=In%20December%202023%2C%20the%20youth,thousand%20in%20the%20euro%20area.
6. https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/lfsa_epgaed__custom_11988415/default/table?lang=en
7. Eurostat
8. https://www.ilo.org/publications/major-publications/global-employment-trends-youth-2022-investing-transforming-futures-young

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcg-i.com